პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ფასი [illegible] მანეთი.

გაზეთი გამოდის ყოველდღიურათ, მასალები მიიღება რედაქციაში 9—3 საათ. ყოველ დღე
რედაქც. მისამართი:
სახ. სამხ. კ-ს შენ. პირ. ს რთ. რუსთაველის პრ. № 31

სამშაბ. 6 თებერვალი
1923 წ
წელიწადი მესამე

№ 207 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო. № 207

25 თებერვლის დღესასწაულისათვის

ყველა ოლქკომებს და მაზკომებს.

ძვ. ამხანაგებო!

მიმდინარე წლის 25 თებერვალს შესრულდება 2 წელი დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა საქართველოში. ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოში მუშები და გლეხები განთავისუფლდენ მენშევიკების სამარცხვინო ბატონობისაგან, განთავისუფლდენ იმ ძარცვა რბევისაგან, რომელსაც აწარმოებდენ მენშევიკური მთავრობის აგენტები, განთავისუფლდენ ერთა შორის წარმოებული სისხლის მღვრელი ომებისაგან.

თავის ბატონობის მთელი ხნის განმავლობაში მენშევიკები კლასიური სოლიდარობის ნაცვლად შურს და მტრობას თესდენ ამიერ-კავკასიის და რუსეთის მუშებ შორის.

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა სურვილით და თავგანწირული ბრძოლით დაარსდა ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკა, რომელმაც საბჭოთა რუსეთსა, უკრაინასა და ბელორუსიასთან ერთად შექმნეს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი, დღე თავიანთ განთავისუფლებისა და საბჭოთა დიდ ფედერაციაში შესვლისა საქართველოს მუშებმა და გლეხებმა უნდა აღნიშნონ, როგორც ერთი უმნიშვნელოვანესი დღეთაგანი რევოლიუციურ მოძრაობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის ისტორიაში.

სრულიად საქართველოს პირველმა საბჭოთა ყრილობამ დაადგინა „25 თებერვალი" ჩაითვალოს საქართველოს განთავისუფლების დღეთ მენშევიკთა ბატონობისაგან და იდღესასწაულოს იგი მთელ საქართველოში დიდი ზეიმით.

ამიტომ საქართველოს საავიტ. საპროპ. განყოფილება წინადადებას გაძლევთ: „25 თებერვლის" დღესასწაულს მისცეთ განსაკუთრებული საზეიმო და არაჩვეულებრივი ხასიათი.

დღესასწაულის ჩასატარებლათ, ამ ცირკულიარის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ შეადგინეთ კომისიები დაინტერესებულ დაწესებულებათა და ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან.

მახლობელი პარტიული დღე შესწირეთ ამ საკითხის გარკვევა გაშუქებას.

24 თებერვალს, მუშაობის გათავების შემდეგ მოაწყეთ ფაბრიკებსა, წარმოებებსა და დაწესებულებებში მუშა მოსამსახურეთა საზოგადო კრებები, რომლებზედაც დაწვრილებით უნდა გააშუქოთ „25 თებერვლის" მნიშვნელობა.

25 თებერვალს დღისით მოაწყვეთ საზეიმო პროცესია წითელ არმიელებთან ერთად ქალაქები და დაბები, სადაც შესაძლებელია სოფლებიც შესაფერისათ მორთეთ და მოკაზმეთ.

ყველა თემებში და სოფლებში მოაწყვეთ მიტინგები და ფართოთ განუმარტეთ მასას ამ დღის მნიშვნელობა. საღამოს გაართეთ თეატრებში და კლუბებში უფასო გასართობები.

მოაწყვეთ მოგონებათა საღამოები მენშევიკებთა წინააღმდეგ, რევოლიუციურ ბრძოლაში მონაწილეობის მიმღებ ამხანაგებისა.

მოაწყვეთ გამოფენა სასოფლო-სამეურნეო და ეკონომიურ მიღწევათა ამ ორი წლის განმავლობაში.

ყველა წიგნთსაცავებმა, სამკითხველოებმა და სახალხო სახლებმა უნდა გამოიჩინონ მაქსიმუმი ენერგიისა, რათა ეს დღე პოპულიარული გახადონ მშრომელ მასაში.

ფართოთ გააშუქეთ ეს საკითხი პრესაში, მოათავსეთ წერილები საბჭოთა ხელისუფლების მოქმედების შესახებ სხვა და სხვა დარგში.

საჭიროა გაზეთებში მოთავსებულ იქნეს მენშევიკებთან რევოლიუციურ ბრძოლაში მონაწილეთა მოგონებანი.

ამ დღის აღსანიშნავათ და პოპულიარიზაციისათვის საჭიროა გახსნილ იქნეს სამკითხველოები, კლუბები და სხვა კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებანი. ამ დღესასწაულის ჩასატარებლათ საჭირო ხარჯის გაღება ევალება სათანადო სამაზრო და თემის აღმასკომს

ს. კ. პ ც. კ-ის მდივანი: მ. [illegible]
ც. კ საავიტ. საპროპ. განყ გამგის მოად. ა. კვირიკაძე.

25 თებერვლის დღესასწაულისათვის.

25 თებერვალს შესრულდება ორი წელი, მას შემდეგ რაც საქართველოში დამკვიდრდა საბჭოთა ხელისუფლება, რაც ბოლო მოეღო სოციალ გამყიდველების ბატონობას. 25 თებერვალი ისტორიული დღეა საქართველოს მშრომელთა მასის ცხოვრებაში. ამ დღეს საქართველოს მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა სამი წლის დაუღალავი ბრძოლის შემდეგ სოციალ-გამცემლების წინააღმდეგ, კვლავ დაუბრუნდა დიდ ოქტომბრის რევოლიუციის და გახდა თანასწორ უფლებიანი წევრი დიდი საბჭოთა ფედერაციისა.

როდესაც რუსეთის პროლეტარიატი გარს შემორტყმული მტაცებლური იმპერიალიზმის ბლოკადით გაფთრებული გმირულად ებრძოდა აზღვავებულ რუსეთის კონტრ-რევოლიუციონურ ბანდებს და რევოლიუციის მსხვერპლად ეწირებოდა ამ დროს მენშევიკ სოციალ-გამყიდველებმა, დაშნაკელებმა, მუსავატელებმა ჩამოაშორეს ამიერ-კავკასიის მშრომელი ხალხი რუსეთის მებრძოლ პროლეტარიატს და თავისი შოვინისტური პოლიტიკით, გადააქციეს მთელი ამიერ-კავკასია ეროვნული შუღლის და მტრობის საბრძოლველ ასპარეზათ. თავისი სამი წლის ბატონობის დროს მენშევიკები მთელი თავისი პოლიტიკით და საქმიანობით ხელს უწყობდენ რუსეთის კონტრრევოლიუციას და დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმს. არც ერთი კარდინალური რეფორმა მათ არ მოუხდენიათ მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის სასარგებლოდ. ქალაქის მრეწველობაში კვლავ ბატონობდენ მსხვილი ბურჟუაზია და სოფლად კი პომეშჩიკ თავადები. მაგრამ 1921 წელი 25 თებერვალი გახდა მათი საბედისწერო დღეთ. ამ დღეს საქართველოს მშრომელმა ხალხმა რუსეთის მუშურ-გლეხურ წითელ არმიასთან ერთად შესძლო სოციალ-გამყიდველების ძალაუფლების დამხობა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. სწორედ ამ დღეს მოხდა ნამდვილი განთავისუფლება საქართველოს მშრომელი ხალხისა, სწორედ ამ დღიდან მან დაიწყო თავისუფალი სუნთქვა და აღმშენებლობითი მუშაობა. ნაცვლად ეროვნული მტრობისა და შუღლიანობისა დღეს მთელი ამიერ-კავკასიის მშრომელი ხალხი ძმური სიყვარულით და სრული სოლიდარობით შეკრული ენერგიულად იბრძვის ეკონომიურ ფრონტზე და მით აძლიერებს საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიურ საძირკველს.

აი რატომ არის ჩვენთვის ძვირფასი 25 თებერვალი.

აქედანვე უნდა ვემზადოთ ამ დიდ დღისათვის, რომ შეიძლება მეტი ზეიმით და ენტუზიაზმით ჩავატაროთ ეს დღესასწაული. ამ დღეს ჩვენ ერთხელ კიდევ უნდა ავღნიშნოთ მენშევიკების სამი წლის მოღალატური მუშაობა საქართველოში, მიმართული მუშათა კლასის წინააღმდეგ და გაუკეთოთ ჯამი წარმატებას და იმ ნაყოფს, რომელსაც ჩვენ მივაღწიეთ დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებისა საქართველოში ამ დღეს ჩვენც საქართველოს მუშების მშრომელი გლეხობის პირმშო შვილებმაც წითელ არმიელებმა უნდა მივიღოთ მხურვალე მონაწილეობა და დაუმტკიცოთ ჩვენი ერთგულება და სიყვარული საბჭოთა ხელისუფლებას. მაშ ღირსეულად შევხვდეთ ამ დღეს და ჩვენი ენტუზიაზმით და ზეიმით კიდევ ერთხელ ჩავსცეთ ლახვარი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს ყოველ ჯურის და ფერის მტრებს.

რაზედ სწერენ გაზეთები?

ახალი სკანდალი ლოზანაში.

ლოზანის კონფერენცია თავის ბოლოს უახლოვდება. ოსმალეთის მთავრობას ან უნდა ხელი მოეწერა კერზონის მიერ ჩაბარებულ საზავო ხელშეკრულებაზე და ან უარი უნდა ეთქვა ე. ი. დაეწყო სამხედრო მოქმედება. იმ მოლაპარაკებაში, რომელიც წარმოებდა ოსმალეთსა და მოკავშირეებს შორის მოსჩანდა უმთავრესათ ინგლისი. შთაბეჭდილებას ისეთს მიიღებდა გარეშე მაყურებელი თითქოს ანტანტის წევრთა შორის არსებობს სრული თანხმობა და ის გარემოება, რომ ინგლისი რურის ოკუპაციის საკითხში დაადგა „მეგობრული ნეიტრალიტეტის" გზას, იმას ნიშნავს, რომ ამის კომპენსაციათ საფრანგეთი ინგლისს აძლევს მეტს თავისუფლებას ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულების დადების საკითხში. გამოვიდა სულ სხვანაირად.

საფრანგეთმა განაცხადა, რომ თუ ოსმალეთი ხელს არ მოაწერს ამ ხელშეკრულებას და ბრიტანეთის დელეგაცია დასტოვებს ლოზანას, საფრანგეთის დელეგაცია მზათ იქნება დარჩეს და აწარმოოს შემდეგი მოლაპარაკება.

გაზ. „ზარია ვასტოკა" ეხება ამ უცაბედ გადახვევას საფრანგეთის პოლიტიკისას და სწერს:

„რითაც არ უნდა იყოს გამოწვეული ეს კონფლიკტი, ჩვენთვის საინტერესოა ეხლავე აღვნიშნოთ ერთი რამ: ასეთი უცაბედი გადახვევა გამოიწვევს იზოლიაციას და მაშასადამე შესუსტებასაც ინგლისის წარმომადგენლობისას ლოზანაში. ძალდატანება ოსმალეთზე კარგავს თავის სიძლიერეს და ახალგაზრდა ოსმალეთის მთავრობისათვის იქმნება ერთობ ხელსაყრელი პირობები.

ყველაზედ უფრო ხელსაყრელ ზავის პირობებს ოსმალეთი მიიღებს მაშინ, როდესაც მას საქმე ექნება ანტანტის შემადგენელთა სახელმწიფოებთან ცალ ცალკე."

„დაანაწილე და იბატონე"-ამბობს რომაული თქმულება და ასეც უნდა მოიქცეს ოსმალეთის მთავრობა.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა უკვე (ალბათ) იციან, ეხლა მიმდინარეობს წითელი ფლოტის კომპანია. გაზეთებში ათასნაირი მოწოდებები იბეჭდებოდა წითელი ფლოტის მნიშვნელობის შესახებ. რომ უფრო ნათელი იქნეს ჩვენი მკითხველებისათვის საზოგადოთ ფლოტის მნიშვნელობა ამიტომ მოვიყვანთ რამოდენიმე საინტერესო ადგილს ამხ. ა. ნესსენის წერილიდან: „წითელი ფლოტი და საზღვაო ვაჭრობა."

„ერთ საბარგო მატარებელს გადააქვს საშუალოთ 60.000 ფუთი ე. ი. 1.000 ტონნა. საშუალო საბარგო საზღვაო გემს კი თავისუფლათ გადააქვს 10000 ტონნა ე. ი. ერთი გემი უსწორდება 10 საბარგო მატარებელს თვითეულ კარგათ მოწყობილ ნავთ-სადგურ შეუძლია მიიღოს დღეში 10 ასეთი გემი, ე. ი. ნავთ-სადგურს შეიძლება შევზიდოთ ერთი დღის განმავლობაში 100 საბარგო მატარებლების შემადგენლობაზე რაც ბარგი დაეტევა."

ასეც იყო ძველ დროში, ამიერ-კავკასიაში ყოველგვარი საგნების მანუფაქტურა, ფქვილი სასოფლო-სამეურნეო იარაღები და სხვა) შემოტან-გატანა ხდებოდა ზღვების საშუალებით. ეხლა კი ეს ზღვის ტრანსპორტი განადგურდა, ჯერ იმპერიალისტური ომის გამო და შემდეგ სამოქალაქო ომების წყალობით.

გარდა ამისა წითელი ფლოტი საჭიროა კიდევ, როგორც სამხედრო ძალა, ზღვის სანაპიროების მტრებისაგან უზრუნველ საყოფათ.



— რურის ოკუპაციის შემდეგ ფრანგული ფრანკის კურსი ეცემა.

— ფრანგებმა რური სავსებით მოსწყვიტეს დანარჩენ გერმანიის

— საფრანგეთის სამხედრო საოკუპაციო ხარჯები აღემატება გერმანიის ვალს ფრანგებისადმი.

— ლონდონში გავრცელდა ხმა თითქოს ისმეტ-ფაშას მოსვლოდეს წინადადება თავის მთავრობისაგან ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას.

— რურის ოლქის მუშა-მოსამსახურეთა კონფერენციაზე გამოიტანეს დადგენილება ყოველივე ზომებით იბრძოლონ საფრანგეთის ჯარების მოქმედების წინააღმდეგ.

რურის ოლქის ოკუპაცია.

— გაზ. „უერ" იუწყება, რომ რურის სამი კვირის ოკუპაციის განმავლობაში ფრანგული ფრანკი დაეცა 13 პროც. ამის გამო საფრანგეთი ჰკარგავს 200 მილიონ ფრანკს თვეში უცხოეთის საქონლის საფრანგეთში შემოტანის დროს. გაზეთი აღნიშნავს, რომ რურის ოკუპაციამდე საფრანგეთი ყოველდღიურად ღებულობდა 300.000 ტონ ნახშირს, ამ ჟამად კი ნახშირის შემოზიდვა მნიშვნელოვნად შემცირდა.

— ფრანგული ფრანკის დაცემის პროცესი გრძელდება. უცხოეთის ვალიუტის ზრდა ცუდათ მოქმედობს საფრანგეთის მრეწველობაზე, რომელსაც ესაჭიროება ნედლი მასალის შემოზიდვა.

რური მოწყვეტილია.

— კავშირი რურსა და დანარჩენ გერმანიის შორის საბოლოოთ შეწყვეტილია. ამის გამო რურში დაგროვილია 20.000 ვაგონი ნახშირი

— რურის იზოლიაცია დანარჩენ გერმანიისაგან განხორციელდა სავსებით. გერმანიაში მიმავალ მატარებლებს აჩერებენ. ინგლისის ზონაში რკინის გზა ნორმალურად მუშაობს.

ჩვენს წითელ ჯარში

ქ. ქუთ. მცველმხლებელთა ათასეულში.

1922 წ. 31 დეკემბერს მოხდა საერთო კრება ქუთაისის მც.-მხლებელ ათასეულის წითელ არმიელებისა. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. ზ. ჯაფარიძე მდივნობდა ამხ. ცომაია.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები.

1.) რა უნდა ვაკეთოთ ჩვენ უვადო შვებულებაში წასვლის შემდეგ და 2.) დემობილიზაციისათვის დღესასწაულის მომწყობ კომისიის არჩევა.

1-ლ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ჯაფარიძემ. მან გასაგები ენით განმარტა დემობილიზაციის მნიშვნელობა, ჩვენი სასოფლო მეურნეობის საქმეში და აღნიშნა, თუ რაოდენი სარგებლის მოტანა შეუძლია გათვითცნობიერებულ წ.-არმიელების სოფლებში დაბრუნებას. მან მიუთითა არმიელებს თუ, როგორი დახმარება უნდა გაუწიონ მათ ადგილობრივ მთავრობას საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში და განსაკუთრებით კი ახალწვეულთა, გამოწვევის საქმეში. დაბოლოს მოუწოდა ამხანაგებს ენერგიულ მუშაობისაკენ სოფლად და თუ საჭიროება მოითხოვს საბჭოთა ხელის უფლების კვლავ იარაღით ხელში დაცვისაკენ.

მეორე საკითხის შესახებ მოხსენების შემდეგ არჩეულ იქმნა დღესასწაულის მომწყობი კომისია შემდეგი პირებისაგან:

1.) ზ. ჯაფარიძე. 2.) თ. ცომაია. 3.) ვლ. გიორგაძე. 4.) ალაშვილი. და 5.) კობახიძე.

ც—ა.

9 იანვრის მოგონება.

22 იანვარს მოწვეული იქნა მესამე ლეგიონის საერთო კრება 1905 წ. 9 იანვრის აღსანიშნავად წ.-არმიელები მოიკრიბნენ მუსიკით საღამოს 6 საათზედა. ლეგიონის შტაბიდან გაემგზავრნენ ლეგიონის თეატრში, სადაც გახსნილი იქმნა მიტინგი კაპ. კალანდაძის თავმჯდომარეობით. 9 იანვრის აღსანიშნავად სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ვარ. გაბუნიამ და წ. არ. დგებუაძემ.

მათ თავის სიტყვაში ხაზ. გასმით აღნიშნეს მღვ. გაპონის მოქმედება, რომელმაც ჩაუყარა ხელში მუშათა კლასი მეფის რაზმს, სადაც მუშათა კლასის სისხლით შეღებეს ქუჩები, მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მაგივრად.

9 იანვარმა მუშათა კლასს მისცა საუკეთესო გამოცდილება, სადაც დამტკიცდა, რომ მუშათა კლას თავისუფლების მოპოვება შეუძლია თავისი ხელის საშვალებით და არა სხვისი. 9 იანვრის დამარცხებაზე აგებულია 1917 წ. 25 ოქტომბრის ბრწყინვალე გამარჯვება.

მოხსენების შემდეგ წავიდა ცოცხალი სურათები გაპონის მოქმედების შესახებ, რამაც წითელ არმიელებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა (გასამართლებული იქმნა გაპონი).

სუფსელი

კულტურული მუშაობა

წარმოდგენა-საღამო გაზ. „წითელ-არმიელის“ სასარგებლოთ.

ქუთაისიდან გვწერენ, რომ მესამე ლეგიონის ინიციატივით გაიმართა დიდი საღამო-წარმოდგენა გაზეთ „წითელ-არმიელის“ სასარგებლოთ, საღამოს აუარებელი ხალხი დაესწრო და დასტოვა წმინდა შემოსავალი 40 მილიონი მანეთი, რომელიც გადაეგზავნება დანიშნულებისამებრ. სასურველია საქართველოს წითელ ჯარის დანარჩენ ნაწილებშიაც გაიმართოს სათანადო წარმოდგენები.

აგიტაცია ხიმთვრალის წინააღმდეგ.

ცენტარმკლუბში სამკითხველოსთან სისტემატიურათ იმართება პოლიტიკურ განმანათლებელი საუბრები, როგორც რუსს, აგრეთვე ქართველ წითელ არმიელთათვის.

სამშაბათს 6 თებერვალს ამავე სამკითხველოსთან დანიშნულია, საუბარი-აგიტაცია ხიმთვრალის წინააღმდეგ, საღამოს 6 საათზე. წაკითხული იქნება მოხსენება, ნაჩვენები იქნება ცოცხალი სურათები ამავე თემაზე და გაიმართება დასასრულ აზრთა გაცვლა—გამოცვლა და სხ.

ფლოტის დღე

ამავე კლუბში 7 და 8 თებერვალს დანიშნულია მსჯელობა წითელ ფლოტის შესახებ.

სამი დრო.

იყო დრო ბნელი
მეფე მხარობდა.
აგ საქმის მქნელი
დამხარხარობდა.

აჯდა მუშას ზურგს:
მღვდელი, ბურჟუა,
ჰკლავდენ მათთვის ურგს —
ჰქონდა თუ ჰკუა.

„მშრომელთ ჰპარვიდე“
მღერდა ქვეყანა.
„ღმერთო ჰფარვიდე
მეფეს ყველგანა“.

ფერი იცვალა
შავმა დროებამ,
ბევრი იწვალა
აქ მყუდროებამ.

და დაქუცმაცდა
პარტიებათა
ბევრი ვერ ასწვდა
პატიებათა.

შემდეგ ინათლა
სულ სხვა მზემ ცაზე
დაიწყო ათლა
ვის სჭირდა რაც ზე.

თავისუფლება
გასჭედა ქუჩამ,
ხელისუფლება
აიღო მუშამ.

და უცქერიან
ახალ ნაცვევ ალს,
ყველგან მღერიან
„ინტერნაციონალს“.

მე.

მეცნიერების ძალა

უთვალავი მაგალითები არსებობს მეცნიერების ყოვლად შემძლეობაზე. ცნობილია ისეთი მაგალითებიც, რომელთა შემწეობით ადამიანები აღმოაჩენდენ სიმდიდრეს ისეთ ადგილზე, სადაც ერთი შეხედვით არაფერი არ უნდა ყოფილიყო.

აი ახალი მაგალითიც:

რუსეთში, კურსკის გუბერნიაში მეცნიერებმა აღმოაჩინეს ერთი შეხედვით მეტად უცნაური მოვლენა: გუბერნიის ზოგიერთ ადგილებში ანდამტის ისარი იღებს ისეთ მიმართულებებს, როგორიც, არსად სხვაგან— მთელ დედამიწის ზურგზე.

როგორც ვიცით ანდამტის ისარს აქვს თვისება, ერთი თავისი ბოლო მიმართოს ჩრდილოეთით და მეორე სამხრეთით. ანდამტის ასეთი თვისება, როგორც ვიცით გამოყენებულია მეცნიერების სხვა და სხვა დარგებში და პრაქტიკულ ცხოვრებაშიაც. ანდამტის ისარი ხმარებაშია, როგორც საომარ მოქმედების დროს, ისე ზღვაზე მოგზაურობის, მიწაში მუშაობის და ელექტროტეხნიკურ მუშაობის წარმოების დროსაც.

კურსკის გუბერნიის ზოგიერთ ადგილებში ანდამტი ჰკარგავს თავის ზემოხსენებულ თვისების სიმუდმივეს და თავისი სამხრეთისაკენ მიმართავ ბოლოს, მიმართავს ხოლმე, ზოგჯერ აღმოსავლეთით და ზოგჯერ ჩრდილოეთით. ასევე ემართება ჩრდილოეთისაკენ მიმართავ ბოლოსაც.

სდგება საკითხი თუ რატომ ხდება ეს ასე?

ამ კითხვას მეცნიერები ვერ გასცილდენ ისინი შეუდგენ ამ მოვლენის გამოცნობას და ხელმძღვანელობდენ შემდეგი გარემოებით:

თუ ანდამატის ისარს, რომელიც სიმართლით გვაჩვენებს სამხრეთს და ჩრდილოეთს, მიუახლოვებთ რკინის ნაჭერს, ის დაიწყებს ქანაობას და თავისი ბოლოებით, როგორც ცოცხალი არსება, იქეთ-აქეთ ასკდება მანამდე, სანამ ერთი რომელიმე მისი ბოლო არ დაუპირდაპირდება რკინას.

ანდამატის ისრის ასეთი შეუჩერებელი ქანაობა ხდება კურსკის გუბერნიაში მაშასადამე სადღაც ახლოში რკინა უნდა იყოსო გადასწყვიტეს მეცნიერებმა.

დაიწყეს ანდამატის ისრის საშვალებით ძებნა, თუ სად უნდა ყოფილიყო ეს რკინა. და მართლაც აღმოაჩინეს შემდეგი: კურსკის გუბერნიაში მიწის ზედაპირთან ახლოს არის რკინის მადნის დიდი რაოდენობა. მაგრამ რამდენად ღრმად არის ის მიწაში?

ამ კითხვაზე მეცნიერებმა სხვადასხვა ცდების დაყენების შემდეგ დაასკვნეს, რომ მიწის ზედაპირიდან ეს რკინა იმყოფება არა უმეტეს 200 საჟ. სიღრმისა, ხოლო შესაძლებელია ნაკლებზედაც. ამ ფაქტს ძალიან დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. საზოგადოთ რკინა წმინდა სახით არსად არ მოიპოვება, მას სჭირია გადადნობა გაწმენდა, ნახშირის ცოტად თუ ბევრად შეერთება და სხვა მრავალი. მაგრამ კურსკში კი, როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, რომ იქ რკინა მიწის სიღრმეში წმინდა სახით უნდა იყოს. მაშასადამე აქ ერთი დარჩენილა: მისი ამოღება და პირდაპირ მისგან ცხოვრებაში სხვადასხვა იარაღების დამზადება. რაოდენობა კი ამ რკინისა ძალიან დიდი უნდა იყოს.

ამიტომ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შესდგა კომისია, გაცემულია საშვალებანი რკინის არსებობის შესახებ სისწორით გამოკვლევისათვის, მუშაობის საწარმოებლათ და სხვა. ყველა ამას დიდი ენერგიით ეკიდება ჩვენი გამოჩენილი სწავლულები. საბჭოთა ხელის უფლება აფასებს მეცნიერების აღმოჩენილ სიმდიდრეს.

რაზედ გვწერენ

ახალ მოდის მანტიორი.

წითელ-არმიელთა ცენტრალურ კლუბში დაუნიშნავთ ახალ მოდის მანტიორი, რომელიც წითელ არმიელებს კლუბში არ აჩერებს და ქვემოდ მიერეკება. 30 იანვარს სხვებთან ერთად მეც მიპირებდა გაძევებას კლუბიდან. მაგრამ გავკადნიერდი და ვკითხე ამხანაგ მანტიორს თავისი ვინაობა რისთვის მიერეკებოდა წითელ-არმიელებს ქვემოდ. მან ასე მიპასუხა რუსულად: „ია ნაჩალნიკ პროსვეშჩენია“ და გულზე ნიშნებიც ხელს უწყობდა, რომ დავრწმუნებულიყავი, ამხანაგი „განათლების უფროსი“ იყო, მაგრამ იქაურმა მახურმა მითხრა, რომ ის მანტიორი იყო და არა „განათლების უფროსი“.

შევეკითხე ამხანაგს თუ რას ადევნებდა იგი თვალყურს, წითელ-არმიელების განვითარებას თუ მუშების განათლებას. მან უკანასკნელად მოგვიწოდა, რომ კლუბიდან გავსულიყავით, მაშინ მე ის ამხანაგი მივიყვანე კომენდანტთან, მაგრამ კომენდანტი არ დაგვიხვდა და ამხანაგი მანტიორი გადარჩა ჩვენი შეურაცყოფისათვის სასჯელს. საჭიროა ყურადღება მიექცეს ასეთ თავხედ პირებს.

ქარჩხაბელი

როგორ იბრძოდნენ მეზღვაურები რევოლიუციისათვის.

(გაგრძელება)

ლეიტენანტი შმიდტი.

ვის არ ახსოვს 1905 წლის შემოდგომის რევოლიუცია.

მთელი რუსეთის მუშები გამოვიდნენ ქუჩებში და აafრიალეს წითელი დროშა.

შავი-ზღვის მეზღვაურებმაც ბანი მისცეს მუშებს და მოახდინეს თავის ფლოტში აჯანყება, რომელიც ცნობილია „სევასტოპოლის“ აჯანყების სახით.

აჯანყებულებს მეთაურობს ლეიტენანტი შმიდტი, რომელიც ღებულობს აჯანყებულების გემ „ოჩაკოვის“ უფროსობას.

გემ „ოჩაკოვს“ უერთდება თერტმეტი სხვა გემი.

მაგრამ მეფის მთავრობა ამარცხებს აჯანყებულთ და თვით მეთაურს შმიდტს თავის ახლობელ ამხანაგებიანა, სიკვდილით სჯის.

აჯანყებულთა დასჯა.

1906 წ. მეფის მთავრობა საშინელ შურს იძიებს აჯანყებულებზე. ოთხი წლის განმავლობაში, 1906 წლიდან სამხედრო სასამართლოს დადგენილებით დახვრიტეს 150 აჯანყებული მეზღვაური, კატორღაში გაიგზავნა—1000, გამასწორებელ რაზმში—1700, დისციპლინარულ ბატალიონში—2100, სამხედრო-საზღვაო სატუსაღოში—900, სამოქალაქო სატუსაღოში—350 და სხ.

ასე სასტიკათ დასაჯეს შავი-ზღვის ფლოტის გმირები ნიკოლოზის ჯალათებმა.

1917 წელი.

თებერვლის რევოლიუციის დროს მეზღვაურები, პირველნი გაილაშქრენ მეფის წინააღმდეგ.

მხოლოთ ივლისში ამავე წელს მეზღვაურები შეუერთდნენ კომუნისტებს და შეებრძოლენ ბურჟუაზიულ მთავრობას.

ოქტომბრის რევოლიუციის დროს ბალტიის ფლოტმა გადასხა პიტერში რამოდენიმე ათასი მეზღვაური აჯანყებულ მუშების დასახმარებლათ.

25 ოქტომბერს გემი „ავრორა“ მდინარე ნევიდან ზარბაზნებს უშენს საზამთრო სასახლეს უკანასკნელ იმედს კერენსკისას.

აგრეთვე მრავალი მეზღვაური ჩამოვიდა რეველიდან და ფინეთიდან და მოეხმარნენ ბოლშევიკებს ჩამოეგდოთ ბურჟუაზიული მთავრობა.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ.

დაამყარეს რა, რუსეთში საბჭოთა მართველობა მოწინავე მუშებთან ერთად, მეზღვაურნი ჩაებნენ საბჭოთა მართველობის შინაურ საქმეებში.

აგრეთვე მეზღვაურებმა დაამარცხეს კოლჩაკი, გასწმინდეს კასპის რაიონი ინგლისელებისაგან და ყოველნაირად ხელს უწყობენ წითელ ფლოტის შექმნას.

კომუნიზმის გმირები.

ამ რიგათ მეზღვაურებმა გადიტანეს სამი საშინელი დრო: ნიკოლოზის, ოქტომბრის დღენი და სამოქალაქო ომი.

ათასი მეზღვაური დაიღუპა ნიკოლოზის მთავრობასთან ბრძოლის დროს, მათივე სისხლითვე შეიღება კომუნისტური დროშა, რომელიც დღეს ამშვენებს საბჭოთა ფედერაციის.

ნ. დ. ს. ც.



წითელი მეზღვაური.

ჩვენი ფლოტი
შენდება!
და ზღვა - ლოთი
მშვენდება!..

წითელი მეზღვაური
მუდამ იყო პირველი!
უყვარდა ზღვის ხმაური
და ღელვა საკვირველი!..

რევოლიუციის ალთქმა
მეზღვაურით დაიწყო;
თავისუფლების აქ თქმა,
„პოტიომკინზე“ აიწყო!..

მეფეს, პირველი სილა
მეზღვაურებმა შეჰკადრა!
და აჯანყების დილა
შეჰქმნა შავზღვის ესკადრამ.

ოქტომბერმა იგრგვინა,
საქმე — შეუპოვარით;
კრონშტადტმა აგვირგვინა
ხალხის მონაპოვარი!

ეხლა წითელი ფლოტი
მუშის მღერით შენდება
თავისუფლებით ლოთი
წითელ დროშით მშვენდება!..

მისი მრისხანე ცურვა
მტრებს ვაგლახად ატყდება
ახალ ძალით იჭურვა
მშრომელთ რაც სურს—ახდება!

წითელი მეზღვაური
წითელი ფლოტიდან მზერს,
ზღვას ამაყი ხმაურით
ინტერნაციონალს მღერს.

დაშნა.

ტირაჟი 1500.
პასუხისმგებელი რედაქტორი პ ქუთათელაძე